

## გუჩა კვარაცხელია

### ზოგი რამ სემიოტიკის შესახებ

სემიოტიკა ყალიბდებოდა ორი მიმართულებით: ერთი მომდინარეობდა ამერიკელი ლოგიკოსის ჩარლზ სანდერს პირსისაგან (1839-1914), ხოლო მეორე – შვეიცარიელი ენათმეცნიერის ფერდინანდ-მონჟენ დე სოსიურისგან (1857-1913). პირველი უკვე ცნობილი მეცნიერი იყო („ექსცენტრული ამერიკელი გენია“ – T. E. Hill), რომლის დებულებები საფუძვლად დაედო ფილოსოფიურ კონცეფციას, შემდგომში „პრაგმატიზმად“ წოდებულს. მან განავრცო და რამდენადმე სახე უცვალა ბულის ალგებრას, საფუძველი ჩაუყარა მიმართებათა ლოგიკას. სოსიურმაც, ვიდრე ნიშანთა თეორიას შექმნიდა, შექმნა ეპოქალური ნაშრომი ინდოევროპული ენების ხმოვანთა თავდაპირველი სისტემის შესახებ („Memoire sur le Systeme primitif des voyelles dans les langues indo-europeennes“).

პირსის სემიოტიკას ტრადიციულად უპირისპირებენ სოსიურის სემიოლოგიას, უპირველეს ყოვლისა, იმ განსხვავებულ პოზიციასა გამო, რომლებიც მათ აქვთ ენის ცნების გაგებაში. სოსიურის მიხედვით, ენა დახშული სისტემაა, რომლის მხოლოდ გარეგანი აღწერაა შესაძლებელი; პირსთან იგი ონტოლოგიური სტრუქტურის დამოკიდებული ნაწილია, რომელიც ღიაა. სოსიურის კონცეფციის შესაბამისად, კომუნკაციის შესაძლებლობის პირობას წარმოადგენს იდეალური და პირდაპირი დაკვირვებისთვის მიუწვდომელი ნიშანთა სისტემა, რომელსაც ავტორი ენას უწოდებს.

ნიშანი, როგორც სოსიურთან, ისე პირსთან სინთეზის ელემენტია, „მისადგომია“ გრძნობადთან. პირსის სემიოტიკა უფრო რადიკალურია: პრაგმატიზმში, რომელსაც სოსიური საერთოდ არ ითვალისწინებს, ეს „მისადგომი“ აღიწერება როგორც რაღაც ცოცხალი მექანიზმი, რომლის დეტალთა უმრავლესობა დაკვირვებისთვის მისაწვდომია. შესაბამისად, ენა, ტერმინის საკუთრივ სემიოტიკური მნიშვნელობით, პირსთან წარმოადგენს იმ ენობრივ სუბიექტთა შორის ურთიერთობის საშუალებათა ნაკრებს, რომელთა გამოყენება დეტერმინირებულია სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატიკული

წესებით (პრაგმატიკა შეისწავლის ნიშანთა მიმართებას იმათთან, ვინც ამ ნიშნებს იყენებს). სოსიურთან ენა „იდუმალი მოვლენაა“... გამოდის, რომ ჩვენ ამ „იდუმალი მოვლენის“ მოქმედების მხოლოდ შედეგთა აღწერა და კლასიფიკაცია გვიწევს და ყოველთვის უკვე „მზა ენის“ ფაქტს ვაწყდებით და არა მოქმედ ენას.

სოსიურს პრაგმატიკისთვის სპეციალური პრინციპი არ ჩამოუყალიბებია და როგორც აღვნიშნეთ, იგი პრინციპულად არ შემოუყვანია ენის კვლევის სფეროში მაშინ, როდესაც, „ზოგადი ენათმეცნიერების კურსში“ ფორმულირებულია მისი სემიოლოგიის ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც „მთელ მექანიზმს“ განიხილავს სემანტიკისა და სინტაქტიკის თვალსაზრისით. ეს პრინციპებია ნიშანთა ნებისმიერობა (არამოტივირებულობა) მოტივირებულ სიმბოლოებთან დაპირისპირებით და აღმნიშვნელის ხაზოვანება, რომელიც ტექსტის წარმომქმნელი მექანიზმისგან მოითხოვს მხედველობით აღქმულ სიგნალებთან დაპირისპირებულ აკუსტიკურ სიგნალთა თანამიმდევრულ მონაცვლეობას დროში.

მაშინ, როდესაც სოსიური აღმნიშვნელის ნებისმიერობაზე ლაპარაკობს, ამბობს, რომ აღმნიშვნელი არ არის მოტივირებული აღსანიშნის მიმართ, რომ მათ შორის არ არსებობს რაიმე ბუნებრივი კავშირი და ასოციაციას განზრახ ტოვებს „ცარიელს“ ანუ უგულუბელყოფს. პირსი საპირსპიროს ამტკიცებს, შემოაქვს რა ნიშნის საფუძვლის, ნიადაგის (ground) ცნება ანუ ამით იგი „ავსებს“, ცნობს ასოციაციურ კავშირს; შემოაქვს, აგრეთვე, ხარისხობრივი ნიშნის ცნება, მისი ძირითადი სახეობები – იკონი, კვალისიგნუმი, რემა და სხვ. პირსმა ნიშანთა სამი ძირითადი კლასი გამოყო: 1. ნიშნები-ინდექსები; 2. ნიშნები-ასლები, იკონები (ბერძნ. eikon „გამოხატულება“), ხატები; 3. ნიშნები-სიმბოლოები. ისინი ასახავენ სემიოზისის სამ საფეხურს.

**ინდექსი** არის ნიშანი, რომელიც გვაგზავნის ობიექტთან, იგი ამ ობიექტის რეალური ზეგავლენით ახდენს დენოტაციას. მაგალითები: 1. ძაღლის დაღრენილი კბილები მუქარის ნიშანიცაა და ერთდროულად მისი მზადყოფნისაც თავდაცვისა თუ თავდახსმისათვის; 2. წამოძახილი „ოჰ!“ იმ დროს, როდესაც ადამიანმა ტკივილი იგრძნო – არის უნებლიე ფიზიოლოგიური რეაქცია ტკივილზე, ამავე დროს არის ნიშანიც (შორისდებული), რომელიც მოცემულ მდგომარეობას ნაწილობრივ გამოხატავს. ნიშან-ინდექსებში აღსანიშნის მიერ აღმნიშვნელის მოტივირება მეტონიმიური ბუნებისაა.

**ნიშანი-ასლი** იმით გამოირჩევა, რომ აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის კავშირი მოტივირებულია მსგავსებით. მაგალითები: 1. „გუგული“ ჰქვია ფრინველს, რომელიც „გუ-გუ“-ს გამოსცემს. ე. ი. სიტყვა (აღმნიშვნელი) ჟღერს იმ ბგერათა მსგავსი ბგერებით, რომელთაც ეს ფრინველი (ანუ აღსანიშნის დენოტატი) გამოსცემს; 2. ფიზიკურ გეოგრაფიულ რუკაზე ცისფრის, მწვანისა და ყავისფრის ღია და მუქი ელფერები (აღმნიშვნელები) შეესაბამება აღსანიშნებს: „ლურჯი“ – ზღვათა სიღრმეს, „მწვანე“ – დაბლობის მიმართებას ზღვის დონესთან და „ყავისფერი“ – მთების სიმაღლეს ზღვის დონიდან. ნიშან-ინდექსთაგან განსხვავებით, რომლებშიც აღმნიშვნელის მოტივაცია/მოტივირება აღსანიშნის მიერ მეტონიმური ხასიათისაა, აქ ეს მოტივირება მეტაფორული ხასიათისაა.

**ნიშანი-სიმბოლო** არ არის მოტივირებული, ანუ მოცემული აღმნიშვნელი არ არის მოტივირებული მოცემული აღსანიშნით. მაგალითები: 1. არსებობს სიტყვები, რომელთა შესახებ თვით ეტიმოლოგებმაც კი არ იციან, თუ რატომ ჰქვია მათ ესა თუ ის სახელი, ვთქვათ, ენძელა, ია. თანამედროვე ქართველის ენობრივ ცნობიერებაში კავშირი ამ ყვავილებსა და მათ სახელებს შორის არ არის მოტივირებული; 2. აუხსნელია ასევე, რატომ უკავშირდება ნიშანი „4“ რაოდენობას „ოთხი“, „5“ – რაოდენობას „ხუთი“.

ელემენტარულ ნიშანთა დასახელებული 3 ტიპი შეესაბამება სემიოზისის სამ საფეხურს. აქ მიმდინარეობს აღნიშვნა, ცნობიერებაში ნიშნის წარმოქმნა, ნიშნის მიმართებების წარმოქმნა სინამდვილის მოვლენასთან, ნიშნის ფორმითაც სინამდვილის ასახვა. სამი საფეხური ქმნის ნიშნის პირობითობის (კონვენციურობის) ზრდის გრადაციას: პირობითობის ყველაზე ნაკლები ხარისხით ხასიათდებიან ნიშანი-ინდექსები, ყველაზე მაღლით – ნიშანი-სიმბოლოები.

ნიშნები-ინდექსები და ნიშნები-სიმბოლოები პოლარულად ერთმანეთის საწინააღმდეგოა თავიანთი შესაძლებლობების თვალსაზრისით კონკრეტულისა და აბსტრაქტულის, ზოგადისა და ცალკეულის აღნიშვნაში. ინდექსები კონკრეტულსა და ცალკეულს უკავშირდება, სიმბოლოს კი, პირიქით, არ ძალუძს მიუთითოს რაიმე კონკრეტულ ნივთზე – ის აღნიშნავს ნივთთა (საგანთა) ტიპს (ჩ. პირსი): „სიმბოლოები გვაძლევენ საშუალებას ვიაზროვნოთ აზრების შესახებ, ამასთანავე – იმდაგვარად, როგორც ვერ ვიაზროვნებდით სიმბოლოთა არარსებობის შემთხვევაში. ისინი გვაქმნევენ აბ-

სტრატეგიებს, რომელთა გარეშე მოკლებული ვიქნებოდით მეცნიერების განვითარების ძრავას. სიმბოლოები ჩვენი გონების თვით საფუძველია“.

პირსმა ნიშანთა ზემონახსენები სამი ტიპის სხვადასხვა როლის შესახებაც მიუთითა შემეცნებაში, ახსენა რა მათი კავშირი სხვადასხვა დროით პლანთან:

1. ცხოველთა კომუნიკაციაში ადგილი აქვს ერთადერთ ქრონოტოპს – „აქ, ახლა“ (მ. ბახტინის ტერმინია; – კომპლექსური ტექსტური კატეგორია, რომელიც აერთიანებს ტექსტური დროისა და ტექსტური სივრცის მნიშვნელოვნად იზომორფულ კატეგორიებს. ეს შეესაბამება ცხოველთა „ენაში“ ნიშნებს-ინდექსებს).

2. ხელოვნების დარგებში ჭარბობს იკონური ხასიათის ნიშნები, ამას ხელოვნებაში შეესაბამება მიმართვა წარსულში, ანუ განცდილში – იმაში, რაზეც მხატვარი მოგვითხრობს არა „მოვლენებში ჩარევის“ მიზნით, არამედ მღელვარებისა და კათარზისისთვის.

3. ბუნებრივ (ეთნიკურ) ენებში მეტია ნიშანი-სიმბოლოები, რაც, ერთი მხრივ, შეესაბამება ენის რეგულაციურ-შემაგულიანებელ, დამგეგმავ ფუნქციებს, ხოლო, მეორე მხრივ, ენის/მეტყველების მჭიდრო კავშირს აზროვნებასა და შემეცნებასთან. სიმბოლო სიღრმეშია მიმართული.

**რთული ნიშნები და სემიოზისის ახალი საფეხურები.** სემიოტიკურ კონტინუუმში (მოვლენათა, პროცესთა უწყვეტობა) უმეტესობას წარმოადგენს რთული ან/და წარმოებული ნიშნები. რთული ნიშნები მარტივთა გაერთიანების შედეგად წარმოიქმნება, ამასთანავე, გაერთიანებისას „მნიშვნელობათა ჯამს“ კი არ ვიღებთ, არამედ თვისებრივად ახალ მნიშვნელობას. ასეთია, მაგალითად,

1. **ვიზუალური ნიშანი:** ხატის გამოხატულება როგორც უმაღლესი და მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოსი. ბევრ ხალხში ჯგვარი ანუ ხაზთა გადაკვეთა გადმოგვცემდა სხივებსა და „მზის ბორბლის“ მოძრაობას; გაშლილხელებიანი ადამიანის სიმბოლო, სიცოცხლის ხის სიმბოლო და სხვ.

2. **არტეფაქტი** (უტილიტარული ფუნქციით და როგორც ვიზუალური ნიშანი) – ჯგვარი, როგორც დადებითი ნიშანი ფორმით პირქულ ისტორიულ არტეფაქტს დაემთხვა. მისი ომონიმი აღმოჩნდა ძველ რომში, სპარსეთსა და ძველ ეგვიპტეში – ეს იყო ბოძი ძელითურთ. წარმოადგენდა ჯვარზე გაკვრით სამარცხვინო დასჯის

საშუალებას – მისჯილს ძელზე აჭედებდნენ.

3. **ვერბალური ნიშანი** – რომაელებთან „ჯვარი“ ამავე დროს სირცხვილისა და ტანჯვის ფიზიკური ნიშანია, რომელიც ვერბალურ ნიშნებში აისახა. „ჯვარზე გაკვრა“, „ჯვარს აცვა“ – გადატანითი მნიშვნელობით „აწვალა“, „გატანჯა“.

4. **კონცეპტური ნიშანი-სიმბოლო** – ქრისტიანობაში, რომლის ჩამოყალიბების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჯვარზე ქრისტეს მოწამეობრივ სიკვდილს, ჯვარი მთავარი სიმბოლო გახდა. ფრაზეოლოგიზმები „ჯვარზე დაიფიცა“, „ჯვარი აქაურობას“ და სხვ. მისთ. ჯვრის ძალასა და მის მიმართ დიდ მოწიწებაზე მეტყველებენ.

5. **ფესტური სარიტუალო ნიშანი** – ხელით ჯვრის გამოსახვა, პირჯვრის გადაწერა.

6. **რიტუალური ფესტი** ყოველდღიურობის სემიოტიკის ნაწილია მორწმუნეთა შორის.

როგორც ვხედავთ, პირსის მიერ მოცემული ნიშანთა კლასიფიკაცია საკმაოდ მომცველია.

აღმნიშვნელის შინაგანი მოტივაციის არარსებობამ სოსიურთან განაპირობა დებულება, რომ ნიშანთა სისტემა მხოლოდ საზოგადოებრივმა ცხოვრებამ შეიძლება შექმნას (კონვენციის საფუძველზე). მოტივაცია მოდის გარედან – არა ცნებისა და აკუსტიკური სახის ურთიერთკავშირებისას, არამედ იმ კავშირისას, რომელიც ჩნდება ცნებისა და აკუსტიკური სახის დამაკავშირებელ მიმართებათა შორის, რაც საბოლოოდ სოსიურს აძლევს იმის საშუალებას, რომ ილაპარაკოს **ნიშანზე, როგორც განსხვავებაზე**. ენობრივი ნიშნის ორადი დროითი ბუნების პრობლემამ და თვითონ ტერმინ „ენის“ „ნომენკლატურული“ გაგების თავიდან აცილების სურვილმა სოსიური აიძულა შემოეტანა დამატებითი თეორიული კონსტრუქცია, რათა ერთმანეთისგან განესხვავებინა **ნიშნის ფორმალური მნიშვნელობა** (რომელიც განისაზღვრება ცნებასა და აკუსტიკურ სახეს შორის კავშირით) და **ნიშნის ღირებულება** (რომელიც განისაზღვრება ნიშანთა შორის შიდა კავშირით). სწორედ ამ აზრით წარმოადგენს **ენა ღირებულებათა და არა მნიშვნელობათა სისტემას**.

პირსი, პირიქით, ბუნებრივი ენის სოციალურ წარმოშობას შინაგანი მოტივაციის არსებობით ხსნის. ის ამტკიცებს, რომ ნიშანსა და მის ობიექტს შორის მსგავსებას რეალური საფუძველი აქვს. მსგავსებისათვის რეალური საფუძვლის ქონა ნიშნავს იმას, რომ იგი (ეს სა-

ფუძველი) ქმნის მთელი საზოგადოებისთვის, ან უკიდურეს შემთხვევაში, მისი ზოგიერთი წევრისათვის საერთო ტოპოგრაფიას, რომელშიც არსებობს ნიშნისა და ობიექტის სრული დამთხვევის წერტილები, ე. ი. გარკვეულ უბნებს აქვს ეგზისტენციალური მნიშვნელობა. მაგრამ ამ დარწმუნებულობას პირის მხრიდან გარანტია სჭირდება, ამიტომ იგი დამატებით გვთავაზობს ინტერსუბიექტურობის აპრიორის ჰიპოთეზას, რომელიც ან ვერასოდეს მოიპოვებს ცდაზე დამყარებულ მტკიცებულებას, ან ოდესმე, ხანგრძლივი კვლევის შედეგად, როგორც პირსი ამბობს in the long run, საბოლოოდ დამტკიცდება.

სოსიურის სემიოლოგიის ორი პრინციპი „წყალგამყოფია „სოსიურისეულ“ და „არასოსიურისეულ“ სემიოლოგიებს შორის. „სოსიურისეულია“ სემიოლოგია, რომელიც ორივე პრინციპს აღიარებს – სემანტიკურსა და სინტაქსურს. „არასოსიურისეულია“ სემიოლოგია, რომელიც არ ცნობს თუნდაც ერთ-ერთ მათგანს.

XX საუკუნის დასასრულს შეიქმნა სემიოტიკურ კვლევათა განსაკუთრებული სფერო – სივრცის სემიოტიკა, რომლისთვისაც არც ნიშანთა ნებისმიერობის პრინციპია რელევანტური და არც აღმნიშვნელის ხაზოვანების პრინციპი. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ის, რომ სემიოტიკის თავდაპირველად პარალელურად მოძრავი მიმართულებები გაერთიანდა.

## ლიტერატურა

**გამყრელიძე 2008** – თ. გამყრელიძე, ენა და ენობრივი ნიშანი, თბილისი.

**კვაჭანტირაძე 2008** – მ. კვაჭანტირაძე, სემიოლოგიური კვლევების მეთოდოლოგიისათვის, „სემიოტიკა“ (სამეცნიერო ჟურნალი), № 4.

**ჩიქობავა 1983** – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება II, ძირითადი პრობლემები, თბილისი.

**Пирс 2001** – Ч. С. Пирс, Принципы философии. Том I, Санкт-Петербург.

**Соссюр 1939** – Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, Москва.

**Some Issues about Semiotics**

Summary

Ch. Pierce's semiotics is contrasted with Saussure's semiology because of the different opinions about the understanding of the concept of a language. According to Saussure a language is a closed system while in Pierce's opinion it is an open independent part of an ontological structure. There is a huge difference in terms of "Pragmatics" – Saussure does not recognize pragmatics as a subject of a linguistic research and Pierce creates a philosophical concept later called as pragmatism.

The existence of the internal motivation of a denotation led to a theory that the sign system may be created just by a social life on the basis of convention (Saussure) while Pierce, on the contrary, explains the social origin of a natural language by the internal motivation.

At the end of XX century a special field of the semiotic research was created – the space semiotics for which neither the principal of the arbitrariness of signs is relevant nor the principle of linearity of a designator. This conforms once again that the initial parallel directions of semiotics have merged.